

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი, რომელიც მიღებულია 1999 წელს, სრულად ვერ ასახავს საქართველოს დაზვერვის სისტემის მართვას, კომპეტენციას, ძირითად ამოცანებსა და მიმართულებებს.

ახალი კანონპროექტის შემუშავების მიზეზია სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობა, საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მართვა-კოორდინაციის, კომპეტენციის, საქმიანობის სფეროსა და ძირითადი ამოცანების განსაზღვრა.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

„სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიზანია განსაზღვროს სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სადაზვერვო დაწესებულებების მართვისა და კომპეტენციის სფეროები, საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალი დაწესებულების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, დაადგინოს სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, განსაზღვროს საქართველოს სადაზვერვო დაწესებულებასთან კონფიდენციალურად მოთანამშრომლე პირების სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტი აზუსტებს სადაზვერვო საქმიანობის ძირითად მიზნებს, პრინციპებს და ტერმინებს, ადგენს ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფის წესს.

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებით დახვეწილი იქნება სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, განსაზღვრული იქნება საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მართვა-კოორდინაციის, კომპეტენციის, საქმიანობის სფეროსა და ძირითადი ამოცანები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროდან.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

გ.ბ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შეთანხმებულია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან.

დ.ბ.) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი